პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

1972 წ. № 92 (4602) 13 მაისი, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган-Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: რიგის ოფიცერთა სახლის სახლი, სადაც მატჩი ტარდება; მარცხნიდან — სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დირექტორი ვ. ბატურინსკი, მატჩის მთავარი მსაჯი ვ. მიკენასი და მატჩის მსაჯი თ. სტრანდსტრემი.

მ. ზარგარიანის (ჩვენი სპეც. კორ.) ფოტოები.





ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი თ. გიორგაძე რიგიდან გვატყობინებს

# ამ დღეებში

### გულითადი შეხვედრა

მწვანეში ჩაფლული რიგა მაისში კიდევ უფრო კოპწია ჩანს. სარეკლამო სტენდებზე ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამოიკითხავთ: რიგა მასპინძლობს ნ. გაფრინდაშვილ — ა. კუშნირის მატჩს ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე. ქომაგებს აფიშები ოფიცერთა სახლის „ოქროს დარბაზში" იწვევს.

ლატვიის ჭადრაკის მესვეურნი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ა. კობლენცის თავკაცობით სტუმართმოყვრულად შეხვდნენ ნ. გაფრინდაშვილსა და ა. კუშნირს.

მოჭადრაკეებმა თავიანთი „ამალით" სასტუმრო „რიგა" დაიკავეს. აქ მეექვსე სართულზე ბინა დაიდეს მსოფლიო ჩემპიონმა (ოთახი 644-ე), მატჩის მთავარმა მსაჯმა ვ. მიკენასმა და მისმა მოადგილემ თ. სტრანდსტრემმა, აგრეთვე, სსრ კავშირის საჭადრაკო კლუბის დირექტორმა ვ. ბატურინსკიმ, რომელიც მხოლოდ ორთაბრძოლის სტარტს დაესწრება. სართულით ქვემოთ მოკალათდნენ ა. კუშნირი, პრეტენდენტის სეკუნდანტი ვ. იურკოვი და მისი მოადგილე, ლენინგრადელი ოსტატი ა. კარელოვი.

მასპინძლებმა მეტოქეებს დასვენების დღეებში გართობის განრიგი შესთავაზეს. ა. კუშნირმა მათ უარი უთხრა: სამწუხაროდ, ვერ ვისარგებლებ თქვენი ყურადღებით, მარტოობა მირჩევნიაო.

მოგვარდა მატჩისადმი მიძღვნილი სპეციალური ბიულეტენის გამოცემის საკითხი. დაისტამბება ათი ნომერი. რა თქმა უნდა, ბიულეტენი თბილისშიც გაიყიდება.

ჟურნალისტები გაფრინდაშვილსა და კუშნირს ხშირად აწუხებენ. ალა ერიდება მათ, ნონას ჩვეულებრივად უჭირავს თავი, ხიტყვას არ გვამადლის.

რიგაში ბლომად მოიყარეს თავი ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებმა. „სოვეტსკი სპორტის" ფურცლებზე მატჩს გააშუქებს დიდოსტატი ს. ფლორი, ყოველკვირეულ „64"-ში — ოსტატი ბ. შაშინი, „სოვეტსკაია ლატვიაში" — ოსტატი ა. კობლენცი, რიგის სხვა გაზეთებში — ლატვიელი ოსტატები ი. კირილოვი, ა. შმიტი, ვ. ჟურავლიოვი და სხვ. საქართველოს პრესასაც ჰყავს თავისი კორესპონდენტები.

აქ არიან საქართველოს ტელევიზიის ფილმების სტუდიის მუშაკებიც, რომლებიც იღებენ ფილმს „საქართველოს სპორტსმენები საერთაშორისო სარბიელზე". ამ ფილმში ერთ-ერთ სიუჟეტად გაფრინდაშვილ — კუშნირის მატჩის ამბებიც შევა. ბევრი საინტერესო რამ უკვე აღიბეჭდა ფირზე.

### სურვილები, სურვილები...

— თავი თბილისში მეგონა, როცა იურმალაში დაბადების დღის მოსალოც დეპეშებს ვღებულობდი. ამაღელვა ამ ყურადღებამ, — გვითხრა ნონამ.

ორიოდე დღე გავიდა და დეპეშების ნაკადი კვლავ წამოვიდა. გულშემატკივრები ნონას მატჩის სტარტს ულოცავდნენ და გამარჯვებას უსურვებდნენ. ძალიან გაახარა ჭადრაკის დედოფალი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. პატიაშვილის დეპეშამ, რომელიც რესპუბლიკის კომკავშირელთა სახელით იყო გამოგზავნილი.

რიგელმა დიდოსტატმა მ. ტალმა ნოვოკუზნეცკიდან, სადაც სავასტროლოდ გახლდათ, ორივე მეტოქეს გამოუგზავნა დეპეშები: „გილოცავთ შესანიშნავი მატჩის დაწყებას და შემოქმედებით, სპორტულ წარმატებებს გისურვებთ".

ერევნელი გულშემატკივრების სურვილი ნონას ცნობილმა საერთაშორისო არბიტრმა ა. აკოფიანმა შეატყობინა: „კვლავ შენი დედოფლობა გვწყურია".

### „უნდა დავაკვირდე!"

ასე მიპასუხა საერთაშორისო ოსტატმა ე. რუბცოვამ, როცა რიგაში ჩამოსვლის მიზეზი ვკითხე.

მოსკოველი მოჭადრაკე მატჩზე მოავლინა ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჭადრაკის ლაბორატორიამ, რომელიც ამას წინათ დაარსდა. ეს ლაბორატორია სწავლობს მოჭადრაკეების ფსიქოლოგიას, ჩვევებს, აზროვნების პროცესებს და ა. შ. მის ხელმძღვანელს, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, საერთაშორისო ოსტატ ვ. ალატორცევს უაღრესად საინტერესო გეგმები აქვს.

— რას უნდა დააკვირდეთ?

— ეს საიდუმლოებაა, — ღიმილით მომიგო ელენამ, მაგრამ, როცა გაკვირვება შემატყო, განაგრძო:

— უნდა დავაკვირდე ნონასა და ალას, როგორ უჭირავთ თავი, როგორ განიცდიან ბრძოლის პერიპეტიებს, უნდა ვესაუბრო მათ. ერთი სიტყვით, სამუშაო ძალიან სერიოზულია. მერე ალატორცევიც ჩამოვა.

### სად, როდის, რა

მეტოქეებთან შეთანხმებით, მატჩი ასეთი რეგლამენტით წარიმართება:

რიგის ოფიცერთა სახლის „ოქროს დარბაზში" გაიმართება: III პარტია — 15 მაისს, IV — 17, V — 19, VI — 22, VII — 24, VIII — 26, IX — 29, X — 31, XI — 2 ივნისს, XII — 5, XIII — 7, XIV — 9, XV — 12, XVI — 14 მაისს.

გადადებული პარტიები მეორე დღესვე ლატვიის რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში გათამაშდება — 13, 16, 18, 20, 23, 25, 27, 30 მაისს, 3, 6, 8, 10, 13, 15 ივნისს. დასვენების დღეებია 14, 21, 28 მაისი, 4, 11 ივნისი. 16 ივნისს მატჩის საზეიმო დახურვაა.

თითოეულ მეტოქეს ავადმყოფობის გამო მხოლოდ სამი პარტიის გაცდენის უფლება აქვს.

თამაშის დასაწყისი—16 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით. ტურის დღეს თამაში ხუთ საათს გრძელდება, გადადებული პარტიის დამთავრებისას — ექვს საათს.

• •

# ბრწყინვალედ მოგებული პარტია

### სიცილიური დაცვა

**1. e4 c5 2. მf3 e6 3. d4 cd 4. მ:d4 მc6 5. მc3**

კუშნირთან 1969 წლის მატჩში ნონამ აქ 5. მb5 ითამაშა. ცხადია, ახლა კუშნირი ამ სვლის წინაღმდეგ მომზადებული იქნებოდა.

**5. ... d6 6. კe2 მf6 7. კe3 კd7 8. f4 კe7 9. მ4b5**

სვლაზე ნონა დიდხანს ფიქრობდა. ამ დებიუტში ეს პოზიცია მოდურია. თეთრებს რომ ჩვეულებრივად 9. 0—0 ეთამაშათ 9. ... მ:d4 10. კ:d4 კc6 შემდეგ შავები თანდათან დაძლევდნენ სადებიუტო სიძნელეებს.

**9. ... ლb8 10. g4**

სრულიად ახალი გაგრძელება, რომელიც გაფრინდაშვილმა ამ მატჩისთვის მოამზადა. პაიკთა იერიში მეფის ფრთაზე მრისხანე ჩანს. მათი მწყობრის დარღვევა დაცვის ყველაზე ლოგიკური გეგმაა. კუშნირიც მას ირჩევს.

**10. ... a6 11. მd4 მ:d4 12. ლ:d4 e5**



კუშნირმა თავისას მიაღწია: თეთრებმა პაიკებისთვის უნდა იზრუნონ. ნონა სწირავს პაიკს ინიციატივის დაუფლების იმედით. მართალია, ორივე მეტოქის მეფეები უროქოდ რჩებიან, მაგრამ თეთრებს დიდი შინაგანი ძალის იერიში აქვთ. კუშნირი გამოწვევას ღებულობს.

**13. ლd3! მ:g4 14. კ:g4 კ:g4 15. ეg1 კh5**

ამ სვლაზე მოსკოველმა მოჭადრაკემ თითქმის 20 წუთს იფიქრა. პრეს-ცენტრში ანალიზით დავრწმუნდით, რომ 16. ე:g7 კg6 17. f5 კf6 18. კh6 კ:g7 19. კ:g7 ეg8 20. კf6 შემდეგ თეთრებს იერიში კვლავ პერსპექტიულია. ნონა უკეთ თამაშობს.

**16. მd5! კh4+ 17. მფd2**

მხოლოდ ასე. 17. კf2 ლa7 შემდეგ შავები ენდშპილში გადასვლით დაძაბულობას ანელებენ.

**17. ... ef**

სჯობდა 17. ... კd8 უფრო შეუპოვარი დაცვით.

**18. კd4!**

როგორც ჩანს, კუშნირს ეს სვლა გამორჩა. დაცვა დამაკმაყოფილებელი არ არის. ალბათ შედარებით უკეთესი იყო 18. ... კg5. კუშნირის პაიკის წინსვლას სწრაფი და ეფექტური ფინალი მოჰყვა.

**18. ... f3 19. კ:g7 ეf8**

19. ... ეg8 20. კf6-ის შემდეგ შავები უფიგუროდ დარჩებოდნენ.

**20. კ:f8 მფ:f8 21. ლd4! f6 22. მ:f6**

კუშნირი აქ უნდა დანებებულიყო.

**22. ... ლc7 23. ეg8+ მფf7 24. ეg7+ მფ:g7 25. მe8+ მფh6 26. მ:c7 ეg8 27. მe6 ეg2+ 28. მფc3. კუშნირი დანებდა.**

• • •

გუშინ II პარტია არ შედგა გაფრინდაშვილის ავადმყოფობის გამო.

# ბოლო მატჩმა გადაწყვიტა

მოსკოვი, 11 მაისი. მაგიდის ჩოგბურთის ჩეხოსლოვაკიელმა ოსტატებმა პირველად გაიმარჯვეს ევროპული ლიგის ჩემპიონატში — ამ შეჯიბრების ბოლო მატჩში ადგილობრივი „კრილია სოვეტოვის" სპორტის სასახლეში ანგარიშით 5:2 სძლიეს სსრ კავშირის ნაკრებს.

სწორედ ამ ბოლო შეხვედრამ დაასახელა უძლიერესი. წარმატებისთვის სტუმრებს 3 ქულაც ჰყოფნიდათ, მასპინძლები კი უძლიერესთა სახელს მხოლოდ ანგარიშით 5:2 გამარჯვების შემთხვევაში მოიპოვებდნენ.

ბედმა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებს გაუღიმა, რომლებმაც მთელი ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარეს. ევროპის ჩემპიონი, მოსკოველი ზ. რუდნოვა დრამატულ ბრძოლაში დამარცხდა კონტინენტის ექს-ჩემპიონთან ი. ვოშტოვასთან (19:21, 21:19, 18:21), მერე კი რუდნოვამ და მისმა თანაქალაქელმა ს. გომოზკოვმა, რომლებმაც ამას წინათ როტერდამში ევროპის ჩემპიონთა წოდება მოიხვეჭეს შერეულ წყვილთა თანრიგში, წააგეს ვოშტოვასთან და მ. ორლოვსკისთან — 13:21, 15:21.

საბოლოოდ, საბჭოთა გუნდმა II ადგილი დაიკავა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ უნგრეთის, შვედეთის, გფრ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები.

გაისად ფრანგები პირველ ჯგუფში ადგილს დაუთმობენ მეორე ჯგუფის გუნდების წლევანდელ ტურნირში გამარჯვებულ ავსტრიელებს.

# 17 მაისს

საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დიდ დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) მოწვეულია „განთიადის" ცენტრალური საბჭოს მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. საკავშირო პროფკავშირთა XV ყრილობის შედეგები და „განთიადის" ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები (მომხსენებელი — „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ა. გიორგობიანი).
2. „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი და „განთიადის" ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები (მომხსენებელი — ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგე ტ. კიკნაველიძე).

დასაწყისი 12 საათზე.

# „ლოკომოტივი" მიზანთან

რეგბისტთა წლევანდელი რესპუბლიკური ჩემპიონატის ქვეჯგუფებში შეჯიბრებათა დამთავრების შემდეგ გუნდებს ერთი დღით დასვენების უფლება მიეცათ. შემდეგ ადგილების საბოლოო განაწილებისთვის შეხვედრები „შრომითი რეზერვების" სტადიონზე გაგრძელდა. თბილისის „ელმავალს" და უნივერსიტეტის გუნდს V-VI ადგილებისთვის ჰქონდათ დავა. სტუდენტებმა, რომლებმაც ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსი დაკარგეს, სუსტად ითამაშეს და წააგეს — 4:18.

VII-VIII ადგილების საკითხი „სპარტაკისა" და „სინათლის" შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა — 18:8.

შეჯიბრების ბოლო ორ დღეს განსაკუთრებით საყურადღებო იყო მატჩები I-IV ადგილებისთვის. ბრძოლაში მონაწილეობდნენ ქვეჯგუფებში I-II ადგილებზე გასული კოლექტივები: თბილისის „ლოკომოტივი" და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, თბილისის „დინამო" და ქუთაისის „ლოკომოტივი". ამ კვარტეტის წევრებს ორორი მატჩი უნდა გაემართათ, ვინაიდან ქვეჯგუფებში ერთმანეთს შორის ჩატარებულ შეხვედრათა შედეგები ფინალში გადაჰყვათ.

გადამწყვეტი შეხვედრების წინ თბილისის „ლოკომოტივს" დამარცხებული ჰყავდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი — 50:8, „დინამოს" კი ქუთაისელთა კოლექტივი — 36:13.

ფინალურ ასპარეზობაში „დინამომ" მორიგი მოგება სტუდენტებთან შეხვედრაში ჩაიწერა — 40:20. თბილისის „ლოკომოტივმა" ძნელ ბრძოლაში დაამარცხა ქუთაისელი თანაკლუბელები — 30:23. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა პირველი ტაიმი მოიგეს ანგარიშით 20:4, მაგრამ შესვენების შემდეგ 14 კაცით თამაშობდნენ. რიცხობრივმა უპირატესობამ და თავდაუზოგავმა თამაშმა ქუთაისელებს მდგომარეობის ერთგვარად გამოსწორების საშუალება მისცა.

9 მაისს გადამწყვეტი შეხვედრები ჩატარდა. თბილისის „ლოკომოტივისა" და „დინამოს" დავაში ჩემპიონისა და მეორე პრიზიორის ვინაობა უნდა გარკვეულიყო. მომავალი ინჟინრებისა და ქუთაისის გუნდების მატჩს უნდა დაესახელებინა მესამე პრიზიორი, რომელიც ამავე დროს საკავშირო ზონალურ ტურნირში მონაწილეობის უფლებასაც იღებდა.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში რეგბის კარგა ხანია თამაშობენ. სწორედ აქ შეიქმნა საქართველოში ერთ-ერთი პირველი გუნდი, მაგრამ სიძლიერით იგი მაინცდამაინც ვერ დაიქადნიდა. თბილისისა და საქართველოს შარშანდელ ჩემპიონატებში სტუდენტებმა ბოლო ადგილები დაიკავეს. როგორც გუნდის მწვრთნელმა ო. დოლონაძემ გვითხრა, ეს გარემოება ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის მსჯელობის საგნად ქცეულა. წლეულს გუნდი თითქმის მთლიანად გადახალისდა. ახლად შექმნილ კოლექტივს გამოცდილება ჯერ კიდევ აკლია და ამ ნაკლის ანაზღაურებას მონდომებული, ტემპიანი თამაშით ცდილობს. გუნდმა მიზანს მიაღწია — ფინალში გავიდა.

კოლექტივში განსაკუთრებით გამოირჩევიან ი. ხარშილაძე, ვ. იმნაიშვილი, ზ. ბოგველიშვილი, ზ. ანთაძე. „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობისთვის, რომელიც წლეულს ამ გუნდის ყველაზე საპასუხისმგებლო ტურნირი იქნება, მათ მხარს სხვებიც უფრო გაბედულად აუბამენ.

პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ქუთაისელი სპორტსმენების მატჩში ანგარიში ქუთაისელებმა დასაწყისშივე გახსნეს: კავთელაშვილმა საჯარიმო ზუსტად გამოიყენა. ტაიმის მიწურულს ხვადაგიანმა და ბოგველიშვილმა სტუდენტთა კოლექტივი დააწინაურეს — 6:3.

მეორე ტაიმში ბრძოლა დიდხანს გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ შემდეგ სტუდენტებს დაღლა დაეტყოთ, ქუთაისელთა ფიზიკურად უკეთესად მომზადებულმა გუნდმა ამით ისარგებლა და გაიმარჯვა — 25:6.

ბოლოს ჩატარდა ყველაზე პრინციპული მატჩი: თბილისის „ლოკომოტივი" — „დინამო".

რესპუბლიკურ ჩემპიონატებში მთავარი მეტოქენი უწინაც „დინამო" და „ლოკომოტივი" იყვნენ. ტრადიცია არც წლეულს დარღვეულა, ოღონდ ამჯერად მინდორზე ძველი შეცდომები არც ერთ გუნდს არ გაუმეორებია. ორივე ენერგიულად, ტექნიკურად და, რაც მთავარია, კორექტულად თამაშობდა, რამაც მატჩს ინტერესი შემატა. მთელს ჩემპიონატში ეს იყო ერთადერთი შეხვედრა, რომელმაც მაყურებელს ნამდვილი სიამოვნება გახაცდევინა.

მატჩი 5 წუთის დაწყებული იყო, როცა დინამოელმა კიზირიამ არეკნით დარტყმის შემდეგ კინაღამ გახსნა ანგარიში. ორმხრივ იერიშებში ბედმა პირველად რკინიგზელებს გაუღიმათ: არეკნით დარტყმით მიზანს მიაღწიეს — 3:0. დინამოელებმა წონასწორობა ორ წუთში აღადგინეს. მატჩის დასაწყისი დიდ ანგარიშს გვპირდებოდა, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა: მეტოქენი ერთმანეთს საკმაოდ ფხიზლად სდარაჯობდნენ, მოწინააღმდეგეს ჩათვლის მოედანში შესვლისა და ბურთის დადების საშუალებას არ აძლევდნენ.

საბოლოოდ ორთაბრძოლა „ლოკომოტივმა" მოიგო — 13:9. დინამოელთაგან რკინიგზელთა ძელებს შორის ყველა ბურთი კიზირიამ გაატარა. რკინიგზელებიდან გუნდს ყველაზე მეტი ქულა (6) თენგიზ რუხაძემ შესძინა.

მატჩის შემდეგ რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ ახალი ჩემპიონის, თბილისის „ლოკომოტივის" მწვრთნელს გ. ტონიას.

მწვრთნელი მთელი კოლექტივის მონდომებული თამაშით კმაყოფილია, განსაკუთრებით კი რეხვიაშვილის, კემულარიას, მიქაბერიძის, გეგეშიძის, აიწურაძის ოსტატობას აღნიშნავს. დინამოელთაგან ყველაზე მეტად კიზირიას, ბუგიანაშვილისა და თუშიშვილის გააზრებული თამაში მოსწონებია. საკავშირო პირველობისთვის მზადების პერიოდში „ლოკომოტივს" შეემატნენ რეხვიაშვილი, ნ. აბაშიძე და აკოფოვი — საკმაოდ გამოცდილი რეგბისტები.

— რაც შეეხება რკინიგზელთა სამერმისო გეგმებს, — თქვა მწვრთნელმა, — ძირითადია საკავშირო ჩემპიონატში წარმატებით მონაწილეობა, ჩემპიონატის პირველი და მეორე წრეებს შორის კი პროფკავშირული გუნდების საკავშირო ტურნირში კარგად გამოსვლა.

მწვრთნელმა აღნიშნა, რომ გუნდი „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოსგან მეტ ზრუნვასა და დახმარებას საჭიროებს.

ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ტურნირის მონაწილეთაგან შეადგინეს რესპუბლიკის ნაკრები, რომელშიც შევიდნენ: ი. ნაცვლიშვილი (თბილისის „ლოკომოტივი"), ზ. ანთაძე (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), მ. თუშიშვილი („დინამო"), ზ. კემულარია (თბილისის „ლოკომოტივი"), დ. კავთელაშვილი (ქუთაისის „ლოკომოტივი"), ნ. ბუგიანაშვილი, ჯ. ცუხიშვილი (ორივე — „დინამო"), თ. ბენდიაშვილი, ზ. ხარშილაძე (ორივე — თბილისის „ლოკომოტივი"), ი. კიზირია, ვ. ზამიჩკინი (ორივე — „დინამო"), მ. გეგეშიძე (თბილისის „ლოკომოტივი"), თ. გულვერდაშვილი (ქუთაისის „ლოკომოტივი"), ი. ფურცელაძე და ვ. კაპანაძე (ორივე — თბილისის „ლოკომოტივი").

დასასრულს უნდა აღინიშნოს თბილისის „შრომითი რეზერვების" სტადიონის დირექციის ზრუნვა რესპუბლიკური ჩემპიონატის მაღალ დონეზე გამართვისთვის.

**ო. გელაშვილი.**

• • •

სურათებზე: მარცხნივ — თბილისის „ლოკომოტივისა" და „დინამოს" შეხვედრის მომენტი; მარჯვნივ — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ქუთაისის „ლოკომოტივის" მატჩის ერთი ეპიზოდი.

ავტორის ფოტოები.





# ეჯიბრებოდნენ... შეცდომებში

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატში მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება და შედგა V ტური.

გადადებული პარტიების დამთავრება: გ. ბიბილაშვილი (გარდაბანი) — თ. გიორგაძე (თბილისი) 0:1, ლ. კერნაჟიცკი (ბათუმი) — ა. ბუსლაევი (თბილისი) 0:1, ნ. ჩახოიანი (თბილისი) — მ. არჩვაძე (სამტრედია) 0:1, ე. უბილავა (თბილისი) — ა. რაზოვსკი (ქუთაისი) 0,5:0,5. პარტია ზ. მიქაძე (გუდაუთა) — უბილავა კვლავ გადაიდო. პ. შაქარიანი (თბილისი) და ა. ტუზოვსკი (სოხუმი) გაუთამაშებლად ყაიმზე შეთანხმდნენ. გადაიდო I ტურში გამოტოვებული პარტია დ. ჯანოევი (თბილისი) — ი. მანაშეროვი (ხაშური).

გიორგაძემ კარგად გამოიყენა მატერიალური და პოზიციური უპირატესობა ოთხი ეტლის ენდშპილში. კერნაჟიცკიმ უზუსტოდ ითამაშა ბუსლაევთან და გამოცდილმა ოსტატმა პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა. გადადებულ პოზიციაში ჩახოიანს აშკარა პოზიციური უპირატესობა ჰქონდა. არჩვაძემ კონტრთამაშის მიზნით ფიგურა შესწირა. შემდეგ მეტოქენი ერთმანეთს შეცდომების დაშვებაში ეჯიბრებოდნენ. ასეთ შემთხვევაში მარცხდება ის, ვინც ბოლო შეცდომას სჩადის. ასეთი ჩახოიანი გამოდგა და უიმედო პოზიციაში დანებდა კიდეც. მიქაძემ ძნელი ენდშპილი შესანიშნავად ითამაშა უბილავასთან და მართალია პარტია მეორედ გადაიდო, მაგრამ მიქაძის გამარჯვება ეჭვს არ იწვევს.

**V ტური:** რ. დადიანი (სოხუმი) — შაქარიანი 0:1, ა. ბალავაძე (რუსთავი) — დ. ნეურონოვი (ბათუმი) 0:1, გიორგაძე — მიქაძე 1:0, კერნაჟიცკი — ბიბილაშვილი 1:0, მიქაელიანი (თბილისი) — მანაშეროვი 1:0, ბუსლაევი — რაზოვსკი 0,5:0,5. გადაიდო პარტიები: ჯანოევი — ტუზოვსკი და უბილავა — არჩვაძე. ჩახოიან — დ. გედევანიშვილის (თბილისი) პარტია არ შედგა პირველის ავადმყოფობის გამო.

გიორგაძესთან შეხვედრაში მიქაძემ ფრანგული დაცვა აირჩია, მაგრამ პარტია ვერ გაათანაბრა, უროქოდ დარჩა და მისი მეფე ცენტრში აღმოჩნდა. გიორგაძემ კარგად მოამზადა გარღვევა ცენტრში, რასაც მატერიალური ნადავლიც მოჰყვა. მიქაძე იღერიით განაგრძობდა ბრძოლას და უკვე უიმედო პოზიციაში, 34-ე სვლაზე დანებდა. კერნაჟიცკიმ პირველი გამარჯვება იზეიმა. მისმა მეტოქემ ბიბილაშვილმა თამაშის უსწორო გეგმა აირჩია კარო-კანის დაცვაში. თეთრებმა გრძელი როქი გააკეთეს, შავებმა კი მოკლე, რაც მცდარი აღმოჩნდა: ბიბილაშვილის მეფე ძლიერი იერიშის ობიექტი გახდა. ბალავაძე — ნეურონოვის შეხვედრაში ვენური პარტია გათამაშდა. თეთრებმა პაიკი შესწირეს. მრავალი გაცვლის შემდეგ ნეურონოვმა ზედმეტი პაიკი შეინარჩუნა, ენდშპილში გადასვლისას მეტოქეს ეს პაიკი დაუბრუნა, მოსაგები პოზიცია მიიღო და გაიმარჯვა. ერთობ მშვიდობიანადაა განწყობილი რაზოვსკი: მან მეხუთე პარტია დაამთავრა ყაიმით, ამჯერად ბუსლაევთან. დადიანი წინა ტურებში ნათამაშევი პარტიების მიხედვით კარგ კომბინაციურ ხედვას ამჟღავნებდა, მაგრამ სტრატეგიაში, როგორც ჩანს, მოიკოჭლებს. ეს გამოჩნდა მის შეხვედრაში შაქარიანთან. საკმარისი იყო სოხუმელს ორი-სამი მცირე უზუსტობა დაეშვა, რომ შაქარიანმა დადიანის ეტლი „თამაშგარე მდგომარეობაში" ჩააყენა.

5 ტურის შემდეგ დაწინაურდა გიორგაძე — 4,5 ქულა. 3,5 ქულა აქვს შაქარიანს. 3-3 ქულა მოაგროვეს დადიანმა და ნეურონოვმა. 2,5-2,5 ქულა აქვთ მიქაელიანს, რაზოვსკის, გედევანიშვილს, ბუსლაევსა და არჩვაძეს, ოღონდ სამ უკანასკნელს 4-დან.

**ა. გლაგიძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
**ა. ცეხანელი.**

# საქათები ქალებმაც ჩართეს

რესპუბლიკურ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში საქართველოს პირველობა დაიწყეს მოჭადრაკე ქალებმაც. მონაწილეთა შორის არიან ოსტატი თ. ხუგაშვილი, ოსტატობის კანდიდატები ც. კახაბრიშვილი, ნ. ჩიქობავა, მ. წერეთელი, ს. კალანდარიშვილი, თ. კაჭარავა (ყველა — თბილისი), პირველთანრიგოსნები მ. ჩიბურდანიძე (ქუთაისი), ნ. ხუბულური (თბილისი) და სხვ.

გაიმართა I ტური. კალანდარიშვილმა მოუგო წერეთელს, ჩიქობავამ — ე. ბაშინჯაღიძეს (თბილისი). ყაიმით დამთავრდა ხუგაშვილ — ხუბულურის შეხვედრა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

# ახალგაზრდების სიურპრიზები უუვარით

ამ გვარებს ველოსპორტში დიდი წონა აქვთ: ო. ფხაკაძე მსოფლიოს ექს-ჩემპიონია, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული. იგი წლების მანძილზე დამსახურებულად ლიდერობს საბჭოთა სპრინტერების ავანგარდს. ი. ცელოვალნიკოვი, ს. კრავცოვი, ი. ტრიფონოვი, ა. პოლეტაევი ფხაკაძის მეტოქეები არიან შინაურ ფრონტზე და თანაგუნდელები — საერთაშორისო სარბიელზე. ასეთია საბჭოთა სპრინტის დღევანდელი დღე და მომავალი, თუ ამ სიას რამდენიმე ახალგაზრდა ველოსიპედისტის, მათ შორის ი. კამელკოვის გვარსაც დავუმატებთ.

გაგიგონიათ ოდესმე რაიმე მის შესახებ? დარწმუნებული ვართ, არაფერი. ჩვენც დიდი გაჭირვებით, კითხვა-კითხვით დავადგინეთ, რომ კამელკოვი ოდესიდანაა (ოდესაში, როგორც ჩანს, ველოსპორტს უნარიანი ხელმძღვანელები გამოუჩნდნენ), ჯერ კიდევ შარშან იუნიორებში გამოდიოდა და წლეულს პირველად ცდის ძალას უფროსების შეჯიბრებაში. თუ არ ვცდებით, კამელკოვისთვის თბილისის ახალ ტრეკზე ასპარეზობა პირველი სერიოზული გამოცდა იყო ამა ქვეყნის ძლიერებთან ბრძოლაში.

კამელკოვმა პირველივე გამოსვლიდან მიიპყრო ყურადღება როგორც დაკვირვებულმა, ენერგიულმა და სწრაფის მოტრფიალე ველოსიპედისტმა. სპრინტში სისწრაფე ყველაფერია და ამ თვისებას ყურადღებას მაინცდამაინც არც კი მივაქცევდით (თუ სისწრაფე არა გაქვს, სპრინტში რა გესაქმება), ოდესელს რაღაც განსაკუთრებული რომ არ ჰქონდეს ბრძოლის დასკვნით ფაზაში. ველოსიპედისტები ამას საფინიშო აჩქარებას უწოდებენ. ეს ორმაგი სისწრაფეა, გადამწყვეტი საფინიშო ბიძგი, რომელსაც მუდამ წარმატება მოაქვს სპორტსმენისთვის და მის მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს.

ერთი სიტყვით, კამელკოვი თბილისის ახალი ველოტრეკის მეორე სიურპრიზია (პირველი სიურპრიზი კამელკოვის თანაქალაქელმა იაბლუნოვსკიმ შემოგვთავაზა წინადღით ახალი საკავშირო რეკორდის სახით). მან მშვიდად, მეთოდურად გაიკვლია გზა ფინალისკენ, ავტორიტეტებს არ მოერიდა და რამდენიმე ფავორიტი ჩამოიტოვა, მათ შორის, ხარკოველი ს. კრავცოვი. ფინალში კამელკოვი თავის მეგობარს და თანაქალაქელს იაბლუნოვსკის შეხვდა და ისიც დაამარცხა.

სად იყვნენ დანარჩენი ფავორიტები? ზოგიერთი უფრო ადრე დამარცხდა და შეჯიბრების გაგრძელებაზე უარი თქვა, ზოგი მისთვის შეუფერებელ დაბალ ადგილზე გავიდა, ზოგი კი საერთოდ არ მონაწილეობდა ამ დღის (10 მაისი) ასპარეზობაში. თბილისის ტურნირი მაინც საწვრთნელი ხასიათის შეჯიბრება იყო და ყველას თავისი მოსაზრება ჰქონდა, ყველას რაღაც გარკვეული მოტივი ამოქმედებდა. იქნებ ამიტომაც ფავორიტები უფრო ფრთხილობდნენ, ახალგაზრდობა კი ძალ-ღონეს არ ზოგავდა.

ასეა თუ ისე, ამ ტურნირმა სულ სხვა კუთხით დაგვანახვა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი ველოსიპედისტი, თბილისელი ი. ვოლკოვიც. 200 მეტრზე გიტში მან შესანიშნავი შედეგი (11.45) აჩვენა და ნაკრების მწვრთნელთა ყურადღებაც მიიპყრო. ვოლკოვის შედეგი საქართველოს ველოსპორტის ისტორიაში მეორეა ფხაკაძის შემდეგ. ვოლკოვმა სპრინტშიც ივაჟკაცა და წარმატებით განვლო ნახევარფინალი. იქ, მართალია, დამარცხდა, მაგრამ VI ადგილი ასეთ ძლიერ შემადგენლობაში უკვე რაღაცას ნიშნავს.

სსრ კავშირის ნაკრები რამდენიმე დღის შემდეგ დატოვებს თბილისს. მას პასუხსაგები შეჯიბრებები ელის ტულასა და ტალინში, მერე კი ისევ ჩამოვა ჩვენს დედაქალაქში, თუ ახალ ტრეკს ამ დროისთვის ელექტროგანათება ექნება.

**ნ. ბუზუზვილი.**

# სტარშინოვის რეკორდი

მოსკოვის „სპარტაკის" კაპიტანმა და მოთამაშე მწვრთნელმა ვ. სტარშინოვმა 380-ე შაიბა გაიტანა სსრ კავშირის ჩემპიონატებში. ეს მოხდა 9 მაისს, როცა სპარტაკელი ჰოკეისტები მოსკოვის „ლოკომოტივს" ეთამაშებოდნენ. სტარშინოვმა ერთი შაიბით გადააჭარბა ა. გურიშევის მიღწევას, რომელიც მრავალ წელს ურყევად იდგა.

სპარტაკელებმა ეს შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 7:3. მაგრამ თამაშის შედეგს არ შეეძლო გავლენა მოეხდინა გუნდების სატურნირო განლაგებაზე როგორც ცნობილია, ცსკა-მ ვადამდე მოიხვეჭა ოქრო, „სპარტაკმა" კი ბრინჯაო. ვერცხლის მედლებს მოსკოვის დინამოელები დაეუფლნენ, „ლოკომოტივი" კი, რომელიც IX ადგილზეა, უმაღლეს ლიგას გამოემშვიდობება და საგაისოდ თავის ადგილს სვერდლოვსკის „ავტომობილისტს" დაუთმობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სსრ კავშირის პირველობა

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 18 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კ.) | 6 | 3 | 3 | 0 | 8—2 | 9 |
| „სპარტაკი" | 6 | 3 | 3 | 0 | 7—2 | 9 |
| „ზარია" | 6 | 3 | 3 | 0 | 5—1 | 9 |
| „ნეფთჩი" | 6 | 3 | 3 | 0 | 6—3 | 9 |
| „დინამო" (თბ.) | 6 | 2 | 3 | 1 | 6—3 | 7 |
| ცსკა | 6 | 2 | 3 | 1 | 5—3 | 7 |
| „დინამო" (მ.) | 5 | 2 | 2 | 1 | 4—3 | 6 |
| „დნეპრი" | 6 | 2 | 2 | 2 | 7—7 | 6 |
| „ტორპედო" | 6 | 2 | 2 | 2 | 5—6 | 6 |
| „არარატი" | 5 | 2 | 1 | 2 | 6—3 | 5 |
| „დინამო" (მნ.) | 6 | 0 | 5 | 1 | 1—2 | 5 |
| „კარპატი" | 6 | 1 | 3 | 2 | 2—5 | 5 |
| ასკ (როსტოვი) | 6 | 1 | 2 | 3 | 7—9 | 4 |
| „ზენიტი" | 6 | 0 | 4 | 2 | 6—8 | 4 |
| „ყაირათი" | 6 | 0 | 3 | 3 | 5—9 | 3 |
| „ლოკომოტივი" | 6 | 0 | 0 | 6 | 3—17 | 0 |

## გუშინ...

ქუთაისის „ტორპედომ" შინ სძლია ლენინგრადის „დინამოს" — 1:0. ბურთი მე-13 წუთზე გაიტანა ჯ. სილაგაძემ (პენალტი).

## II ლიგა III ზონა

### 11 მაისს

შედგა მორიგი ტურის შეხვედრები. მოგვყავს მათი შედეგები: „დინამო" (სოხუმი) — „დრუჟბა" (მაიკოპი) 1:1, „დინამო" (ბრიანსკი) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:0, „ზვეზდა" (ტირასპოლი) — „დინამო" (ბათუმი) 2:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „დილა" (გორი) 1:0, „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1:0, „სპარტაკი" (ორიოლი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 1:1, „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) — „სალუტი" (ბელგოროდი) 1:1, „მაშინოსტროიტელი" (პოდოლსკი) — „შრომითი რეზერვები" (კურსკი) 3:0.

## მოზარდთა ტურნირი

გაიმართა მოზარდ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

„დილა" (გორი) — „მერცხალი" (მახარაძე) 6:1, „დინამო" (ბათუმი) — „სპორტინტერნატი" (თბილისი) 4:2, „დინამო" (სოხუმი)— „გურია" (ლანჩხუთი) 4:1, „ტორპედო" (ქუთაისი) — ახალგ. საფეხბ. სკოლა (გაგრა) 8:0, „ავაზა" (თბილისი) — ახალგ. საფეხბ. სკოლა (თელავი) 4:2, „კოლხეთი" (ფოთი) — განათლების განყოფილება (თბილისი) 2:5, „გურია" — „კოლხეთი" 3:1, გაგრა — განათლების განყოფილება 2:4, „ვანთიადი" (თბილისი) — „ავაზა" 2:1, მწვრთნელთა სკოლა (თბილისი)— „ტორპედო" 0:1, „სპორტინტერნატი" — სოხუმი 1:1, „მერცხალი" — ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) 2:5, „დილა" — ბათუმი 0:1.

გამოტოვებული მატჩები შედგება შემდეგი კალენდრით:

**17 მაისი.** „ტორპედო" (ქუთაისი) — განათლების განყოფილება (თბილისი), ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) — „განთიადი" (თბილისი), „დინამო" (თბილისი) — მწვრთნელთა სკოლა (თბილისი).

**19 მაისი.** „მეტალურგი" (რუსთავი) — „დინამო" (თბილისი).

## საქართველოს პირველობა

შედგა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „დინამო" (ზუგდიდი) — „კოლხეთი" (ხობი) 4:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

მეზობელი რაიონების გუნდების შეხვედრას დიდძალი მაყურებელი დაესწრო. სტუმრებმა მხოლოდ პირველ ტაიმში შეძლეს ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა, შემდგომში უპირატესობა მთლიანად დინამოელებს ეკუთვნოდათ. კემულარიამ (2), მესხმა და დარასელიამ 4 „მშრალი" ბურთი გაიტანეს „კოლხეთის" კარში.

გაფრთხილებულია ხობელი ე. ვეკასალია.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ვარკეთილი" (გარდაბანი) 1:1. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

87-ე წუთამდე წინ იყვნენ სტუდენტები (გოლი გაიტანა თოდრიამ). ამ დარჩენილ ცოტა დროში შაფაქიძეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მიეცა.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „კახეთი" (თელავი) 2:0. მსაჯი გ. პოღოსიანი (სოხუმი).

მას შემდეგ, რაც მასპინძლები დაწინაურდნენ (ტოგონიძე), „კახეთს" შეეძლო მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ ლეჟავაშვილმა ვერ გამოიყენა პენალტი. შემდგომში ჩუბინიძემ „მეტალურგის" გამარჯვება განამტკიცა.

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 1:0. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

გეგეჭკორელებს უპირატესობა ჰქონდათ მთელი მატჩის მსვლელობაში, მაგრამ მათი იერიშები უნაყოფო გამოდგა. სამაგიეროდ, „ეგრისის" ერთერთი კონტრიერიში ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა მცველმა კვიტაიშვილმა.

მიმდინარე სეზონში მეორე გაფრთხილება მიიღო ცხაკაიელმა ო. ქაჩიბაიამ.

● „ლოკომოტივი" (თბილისი) — „სინათლე" (თბილისი) 1:1. მსაჯი მ. მიმინოშვილი (თბილისი).

პირველი წარმატება წილად ხვდა „სინათლეს", რომელმაც კარგად გაითამაშა კომბინაცია კოკაია — დევდარიანი. შესვენების შემდეგ რკინიგზელებმა უკეთესად ითამაშეს და გაათანაბრეს კიდეც ანგარიში (ბურთი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა კაველიძემ).

● „ივერია" (ხაშური) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 0:0. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

● „გიგანტი" (ლაითური) — „მეშახტე" (ტყიბული) 0:3. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

ტყიბულელები წარმატებით ატარებენ ბოლო შეხვედრებს. გუნდმა ამჯერადაც კარგად ითამაშა და გაიმარჯვა ჯიშკარიანისა (2) და ჭელიძის გოლების წყალობით.

● „სულორი" (ვანი) — „განთიადი" (ბორჯომი) 1:0. მსაჯი ა. ჯანანაშვილი (თბილისი).

ვანელებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ, თუმცა მხოლოდ მინიმალური ანგარიშით მოგებას დასჯერდნენ (ჩახუნაშვილი).

● „სამცხე" (აწყური) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 3:0. მსაჯი ტ. ტურაშვილი (გორი).

● „ისანი" (თბილისი) — „შუქურა" (ქობულეთი) 1:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

ანგარიში გახსნა თბილისელმა კუჭრიშვილმა, საპასუხო ბურთი გაიტანა მჟავანაძემ.

● „ქართლი" (გორის რაიონი) — ასკ (თბილისი) 0:2. მსაჯი უ. ძნელაძე (თბილისი).

თამაში საინტერესო გამოდგა. არმიელებმა შესვენების შემდეგ შეძლეს ტერიტორიული უპირატესობის მოპოვება, რაც დამთავრდა ნადაშვილისა და ჩომახიძის მიერ გატანილი ორი ბურთით.

გაფრთხილებული არიან თბილისელი გ. დარჯანია და გორელი გ. ზოჩიშვილი.

* * *

მოგვყავს წინა ტურის შეხვედრათა ტექნიკური შედეგები: „კოლხეთი" (ხობი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 2:1, „შუქურა" (ქობულეთი) — „სამცხე" (აწყური) 2:4, „ფეიქარი" (წულუკიძე) — „სულორი" (ვანი) 0:0, „განთიადი" (ბორჯომი) — „გიგანტი" (ლაითური) 2:2, „მეშახტე" (ტყიბული) — „ივერია" (ხაშური) 5:0, „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 3:2, „სინათლე" (თბილისი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 0:0, „სალხინო" (გეგეჭკორი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 6:1, „ვარკეთილი" (გარდაბანი) — „დინამო" (ზუგდიდი) 0:1.

### II ჯგუფი

#### I ზონა

„ფარძია" (ასპინძა) — „კოლმეურნე" (ტიბაანი) 3:1, „მესხეთი" (ახალციხე) — „ალაზანი" (გურჯაანი) 2:1, „ვაზი" (შრომა, გურჯაანი) — „ავტომობილისტი" (ცხინვალი) 0:2, „მევენახე" (ვაზისუბანი) — „ცისკარი" (სიღნაღი) 1:0, „შირაქი" (წითელი წყარო) — „ჩერეთი" (ლაგოდეხი) 1:0, „მევენახე" (ბოლნისი) — „არაგვი" (დუშეთი) 3:1, „დურუჯი" (ყვარელი) — „შევარდენი" (თბილისი) 4:1.

#### II ზონა

„კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „სალხინო" (მაიაკოვსკი) 1:0, „ჩიხურა" (საჩხერე) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 3:1, „ამირანი" (ოჩამჩირე) — „სქური" (წალენჯიხა) 8:0, „კახაბერი" (ხელვაჩაური) — „დიოსკურია" (სოხუმი) 1:5, „განთიადი" (აბაშა) — „მზიური" (გალი) 0:0, „კომეტა" (ფოთი) — „იმერეთი" (თერჯოლა) 2:0, ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „დინამო" (ქუთაისი) 1:2, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „სამგურალი" (წყალტუბო) 2:1.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 18 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 13 | 8 | 3 | 2 | 19—14 | 19 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 13 | 7 | 4 | 2 | 17—7 | 18 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 12 | 7 | 2 | 3 | 24—11 | 16 |
| „სულორი" (ვანი) | 13 | 6 | 4 | 3 | 14—6 | 16 |
| „სინათლე" (თბილისი) | 12 | 5 | 5 | 2 | 14—8 | 15 |
| „სამცხე" (აწყური) | 12 | 6 | 3 | 3 | 20—15 | 15 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 13 | 5 | 5 | 3 | 20—15 | 15 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 13 | 5 | 4 | 4 | 16—16 | 14 |
| ასკ (თბილისი) | 11 | 5 | 3 | 3 | 14—8 | 13 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 12 | 4 | 5 | 3 | 14—10 | 13 |
| „კახეთი" (თელავი) | 12 | 5 | 3 | 4 | 15—14 | 13 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 13 | 5 | 3 | 5 | 11—15 | 13 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 13 | 3 | 6 | 4 | 7—11 | 12 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 13 | 3 | 5 | 5 | 21—18 | 11 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 13 | 4 | 3 | 6 | 11—12 | 11 |
| „ისანი" (თბილისი) | 12 | 4 | 2 | 6 | 11—11 | 10 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 13 | 3 | 4 | 6 | 10—16 | 10 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 13 | 4 | 2 | 7 | 12—23 | 10 |
| „ივერია" (ხაშური) | 13 | 3 | 4 | 6 | 11—25 | 10 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 13 | 4 | 1 | 8 | 19—21 | 9 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 13 | 1 | 6 | 6 | 9—15 | 8 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 13 | 1 | 5 | 7 | 4—22 | 7 |

## კრიტიკულ მომენტებში გარდაისახებოდა

დასასრულს მიუახლოვდა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზების გათამაშება ჩოგბურთში. გუშინწინ თბილისელ ო. პაპიანს ლენინგრადელ ა. ერემეევასთან უბრძოლველად მოგება ჩაეთვალა, ვინაიდან ეს უკანასკნელი ავადმყოფობის გამო სათამაშოდ ვერ გამოცხადდა. ბაქოელი ე. ბირიუკოვა საბჭოთა ჩოგბურთის ერთერთ საუკეთესო წარმომადგენლად ითვლება და თბილისელ ნ. თუხარელთან შეხვედრაში მისგან იოლ გამარჯვებას ველოდით. ბაქოელმა მართლაც მიაღწია საწადელს (6:4, 4:6, 6:2), მაგრამ, როგორც ხედავთ, თბილისელმა მაინც შეძლო ჯეროვანი მეტოქეობის გაწევა.



თბილისელმა ა. ივანოვამ ეს ტურნირი ერთობ უფერულად დაიწყო — ზედიზედ ორჯერ დამარცხდა და მას მოსკოველ მ. ჩუვირინასთან მომდევნო ბრძოლაშიც წაგებას უწინასწარმეტყველებდნენ. ვარაუდი არ გამართლდა: ივანოვამ ამჯერად ჩვეული ძალით, შეუპოვრად ითამაშა და შეძლო ღირსეული მეტოქის დამარცხება — 6:4, 6:4. ეს ჩუვირინას უკვე მეორე წაგება ამ შეჯიბრებაში (წინადღით ბან ფარ-ხმალი დაყარა ბირიუკოვას წინაშე — 4:6, 1:6).

თუ მხედველობაში არ მივიღებთ თ. კაკულია — ვ. კოროტკოვის დაუმთავრებელ შეხვედრას, ვაჟთა ტურნირის ქვეჯგუფებში ბრძოლა დასრულდა. პირველ ქვეჯგუფში გუშინწინ თავისი ბოლო მატჩი ლენინგრადელმა ა. ივანოვმა უბრძოლველად მოიგო: როსტოველი ე. ბობოედოვი ავადმყოფობის გამო სათამაშოდ ვერ მოვიდა. რაც შეეხება ა. მეტრეველისა და ა. ვოლკოვის ორთაბრძოლას, აქ მოსკოველმა შეუპოვარი, აზრიანი თამაშით მაყურებელი მართლაც განაცვიფრა. ამჯერად მეტრეველი უხალისოდ მოძრაობდა კორტზე და პირველ ყოვლისა სწორედ ეს გამოიყენა კარგად ვოლკოვმა. იგი მეტოქეზე უფრო სწრაფი იყო, მეტრეველის რბილ დარტყმებს უფრო მოქნილი, მოხდენილი და ძლიერი დარტყმებით უპასუხებდა. ყოველივე ამან პირველი პარტიის გათამაშებისას ვოლკოვს გარკვეული უპირატესობა მოუტანა. ორჯერ იგი ისე დაწინაურდა (3:1, 5:3), რომ ხელის მოგებისთვის თითქოს ოდნავი სიზუსტის მეტი აღარაფერი იყო საჭირო.

მაგრამ ეს ოდნავი სიზუსტე შეიძლება სხვა მეტოქესთან საკმარისიც ყოფილიყო, მეტრეველთან კი, ეტყობა, მარტო ამ გზით ფონს ვერ გახვალ. ქართველი ჩოგბურთელი სწორედ მისთვის კრიტიკულ მომენტებში გარდაიქმნებოდა ხოლმე, უხალისობას ბრძოლის ნამდვილი ჟინი, მისთვის დამახასიათებელი ოსტატობა ცვლიდა და ამ წუთიერი აფეთქებების შემდეგ ჩანაფიქრიც ხორციელდებოდა. თამაშის ასეთი მანერით მეტრეველმა ორივეჯერ შეძლო მდგომარეობის გაწონასწორება (3:3, 5:5) და ბოლოს პარტიაც მოიგო (7:5).

მომდევნო ორ პარტიაში მეტრეველი, მართალია, ხშირად იყო წინ, მაგრამ დროდადრო მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალებას აძლევდა. ბოლოს მან ეს ორი ხელიც, იმავე, ერთი შეხედვით სახიფათო ტაქტიკით მოიგო (6:4, 6:3).

ჩვენი აზრით, მეტრეველმა მაღალ ოსტატობასთან ერთად მდიდარი სატურნირო გამოცდილების წყალობითაც გაიმარჯვა. ვოლკოვი ხელწამოსაკრავი ჩოგბურთელი არ გახლავთ. ამ ნიჭიერ სპორტსმენს საკმარისად აქვს საამისო მონაცემები, რომ ახლო მომავალში თანამედროვე კლასის ჩოგბურთელებს ამოუდგეს მხარში.

ამგვარად, პირველ ქვეჯგუფში I ადგილი დაიკავა ა. მეტრეველმა (3 ქულა), II — ა. ვოლკოვმა (2), III — ა. ივანოვმა (1), IV — ე. ბობოედოვმა (0).

მეორე ქვეჯგუფში მოსკოველი ვ. კოროტკოვისა და ტალინელი თ. ლეიუსის შეხვედრაში წარმატება მოსკოველს ხვდა — 6:1, 6:3, 6:3.

ამ დღეს არც თ. კაკულიას გასჭირვებია ბაქოელ ს. ლიხაჩოვთან გამარჯვება — 6:2, 6:1, 1:6, 6:1. თუმცა, როგორც ხედავთ, მან მესამე ხელი ისევე იოლად წააგო, როგორც დანარჩენი სამი ხელი მოიგო. უბრალოდ, ეს იყო ქართველი ჩოგბურთელის ტაქტიკური სვლა მას შემდეგ, რაც ლიხაჩოვი დაწინაურდა. როგორც ჩანს, კაკულიამ ერთგვარი შესვენების მიზნით ბრძოლის გამწვავება და ზედმეტი ენერგიის დახარჯვა აღარ ისურვა.

მაშ ასე, კაკულიამ შეძლო საბჭოთა ნაკრების წევრების ლეიუსისა და ლიხაჩოვის დამარცხება. გარდა ამისა, კაკულია წინ არის კოროტკოვთან შეხვედრაშიც. ამ დაუმთავრებელ მატჩში გამარჯვებული I ადგილისთვის მატჩში შეხვდება მეტრეველს, ხოლო დამარცხებული III ადგილისთვის შეებრძოლება ვოლკოვს. ლიხაჩოვი და ივანოვი გაითამაშებენ V-VI, ხოლო ლეიუსი და ბობოედოვი — VII-VIII ადგილებს.

**ჯ. ენუქიძე.**

• • •

სურათზე: თამაშობს თ. კაკულია.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## გუშინ...

გაიმართა ქალთა მორიგი ტურის მატჩები. ჩუვირინამ დაამარცხა პაპიანი — 6:2, 6:3, თუხარელმა — ერემეევა — 7:5, 6:3, ბირიუკოვამ — ივანოვა — 6:2, 9:7. დამთავრდა, აგრეთვე, კოროტკოვ — კაკულიას გადადებული შეხვედრა. კაკულიამ ამჯერადაც კარგად ითამაშა და დიდი სხვაობით მოიგო საბოლოო გამარჯვებისთვის საჭირო ერთი ხელი — 6:1 (პირველი ორი პარტია — 6:1, 6:2).

• • •

დღეს „დინამოს" საჩოგბურთო სტადიონზე შეხვედრები დაიწყება 10 საათზე.

## თასის პირველი ლაურეატები

ბელგრადი, 11 მაისი. კალათბურთელ ქალთა შორის ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეორე ფინალურ მატჩში კვლავ წარმატებით იასპარეზა ლენინგრადის „სპარტაკმა". როგორც ცნობილია, პირველი შეხვედრა ამ გუნდსა და ბელგრადის „ვოჟდოვაცს" შორის საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით აღინიშნა — 84:63. განმეორებითი მატჩი კვლავ საბჭოთა კალათბურთელებმა მოიგეს — 86:61 (43:16) და თასის პირველი გათამაშების ლაურეატები გახდნენ.

გამარჯვებული გუნდი ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ნ. ზახაროვა, ნ. კუროვა, ი. ნეკრასოვა, ნ. კოჩნევა, თ. ლემეხოვა, ი. არკელოვა, ლ. ნიკულინა, ზ. კობზევა, ა. ოვჩინიკოვა, ტ. კალიაგინა, ვ. ხორობორინა, ლ. შიროკოვა.

## სოფლის ძალოსანთა შორის

„კოლმეურნის" აჭარის საოლქო საბჭოს პირადი პირველობა 1952-1955 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ძალოსანთა შორის სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. ვასილიადი, რ. ტაკიძე, მ. სუხანოვი (სამივე — ქობულეთი), კ. ქავთარაძე, რ. ქავთარაძე (ორივე — ხელვაჩაური) დ. მახარაძე (ქობულეთი), ე. ქავთარაძე, ჰ. ესებიძე (ორივე — ხელვაჩაური), ე. მარჩენკო, დ. კირჩხელი (ორივე — ქობულეთი), ნ. ქავთარაძე (ხელვაჩაური).

**ო. მურვანიძე.**
**(ჩვენი კორ.)**

ბათუმი.

# ახალი ამბები-72

● **იოკაიჩი, 10 მაისი.** სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრები განაგრძობს ტურნეს იაპონიაში. ამომავალი მზის ქვეყნის ეროვნულ გუნდთან მეოთხე შეხვედრა მან ამ ქალაქში გამართა და დამარცხდა — 1:3 (3:15, 3:15, 15:5, 13:15). მანამდე სტუმრები მასპინძელთა ნაკრებს სიგაში შეხვდნენ და მწვავე ბრძოლაში მარცხის სიმწარე იწვნიეს — 2:3.

● **შვებიშ-გმიუნდი (გფრ), 10 მაისი.** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, კანადისა და სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა სპორტსმენებმა წარმატებას მიაღწიეს როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა გროდნოელმა ო. კორბუტმა — 77,35 ქულა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ვორონეჟელი ლ. ბურდა (76,80), გროზნოელი ლ. ტურიშჩევა (75,55), ვორონეჟელი ო. ვოროშილინა (74,70), ტაშკენტელი ე. საადი (74,45). საბჭოთა გუნდმა 378,95 ქულა მოაგროვა. II ადგილზეა გფრ-ის ნაკრები (359,10), ხოლო III — კანადელთა კოლექტივი (346,45).

● **ზაგრები, 10 მაისი.** იუგოსლავიის ამ ქალაქში მოეწყო XII ტრადიციული გარბენი. სტავროპოლელმა სტაიერმა ვ. ზოტოვმა II ადგილი დაიკავა — 5400-მეტრიანი ტრასა 15 წუთსა და 31,2 წამში გაირბინა. იგი მხოლოდ 0,2 წამით ჩამორჩა გამარჯვებულს — იუგოსლავიის რეკორდსმენს 10 კილომეტრზე რბენაში დ. კორიცას. ფინიშთან მესამე იყო ლვოველი პ. ანდრეევი (15.40,4), ხოლო მეხუთე — მოსკოველი ო. მუსტროვი (15.51,2). გარბენში იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და სსრ კავშირის 65 მძლეოსანი მონაწილეობდა.

● **ტრირი (გფრ), 10 მაისი.** აქ გამართულ შეჯიბრებაში მსაჯებმა წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგი აღნიშნეს უროს ტყორცნაში: 20 წლის კ.-ჰ. რიმმა (გფრ) ეს იარაღი 73,44 მეტრზე გაგზავნა, თავის პირად რეკორდს ერთბაშად სამ მეტრზე მეტი დაუმატა.

● **ვარშავა, 10 მაისი.** ლ. ხევინსკამ პოლონეთის რეკორდი დაამყარა ბირთვის კვრაში — 18,43 მ.

● **ლაიპციგი, 10 მაისი.** წარმატებით დაიწყო სეზონი ოლიმპიურმა ჩემპიონმა შ. გუმელმა — აქ მოწყობილ შეჯიბრებაში ბირთვი 18,91 მეტრზე ჰკრა. მას სანტიმეტრით ჩამორჩა ჰ. ფრიდელი.

● **ჰამბახი (გფრ), 10 მაისი.** ფ.-პ. ჰოფმაისტერმა წლეულს ევროპის სტადიონებზე საუკეთესო შედეგებს მიაღწია 100 და 200 მეტრზე რბენაში — შესაბამისად 10,2 და 20,5.

● **ოპლადენი (გფრ), 10 მაისი.** მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა ლ. ვესტერმანმა (გფრ) 61,70 მეტრზე ტყორცნა ბადრო. მისმა თანამემამულე რ. ვილდენმა 400 მ 52,5, ხოლო 200 მ — 23,6 წამში გაირბინა.

● **იუჯინი (აშშ), 10 მაისი.** ს. პრეფონტეინმა აქ 5 ათასი მეტრი 13 წუთსა და 29,8 წამში დაფარა, რაც აშშ-ს რეკორდია და საუკეთესო შედეგი წლეულს მსოფლიოში. პრეფონტეინი მძლეოსნობის ისტორიაში მე-15 სპორტსმენი გახდა, ვინც 5-კილომეტრიანი დისტანცია 13 წუთსა და 30 წამზე სწრაფად გაირბინა.

● **სან-ხოსე, 10 მაისი.** კალიფორნიის ამ პატარა ქალაქში ამერიკელმა ო. ფოიერბახმა 21,24 მეტრზე ჰკრა ბირთვი (საუკეთესო შედეგი წლეულს მსოფლიოში). სპორტსმენმა განაცხადა, რომ ვარჯიშის დროს მან ბირთვი მსოფლიო რეკორდის აღმნიშვნელ ნიშანს გადააცილა — 21,80 მეტრზე გაგზავნა ეს იარაღი. აფრიკის რეკორდი დაამყარა მაროკოელმა ლ. სამსამმა — 20,42 მ.

● **ლაიპციგი, 11 მაისი.** გდრ-ისა და სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ვაჟთა ნაკრები გუნდების მატჩში სავალდებულო პროგრამის შემდეგ სტუმრები დაწინაურდნენ (277,25:275,00). პირად ჩათვლაში წინაა სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. ანდრიანოვი — 56,20 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ლაიპციგელი მ. ბრემე. მომდევნო ადგილებზე საბჭოთა სპორტსმენები არიან: ე. მიქაელიანი (55,60), მ. ვორონინი (55,50), ა. მალეევი (55,40). ცნობილი გერმანელი ტანმოვარჯიშე კ. კოსტე VI ადგილზეა (55,15).

● **ფორმია (იტალია), 11 მაისი.** აქ დაწყებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს პოლონელმა მძლეოსნებმა. უცხოეთში წლეულს პირველი სტარტი კარგად აიღო მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა 200 მეტრზე რბენაში ი. შევინსკაიამ, რომელმაც მოიგო „თავისი" დისტანცია — 23,8, ა. ბადენსკიმ ყველას აჯობა 400 მეტრზე რბენაში — 46,1. მან ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, იტალიელი მ. ფიასკონარო და ამერიკელი ჯ. მილსი ჩამოიტოვა. ბირთვის კვრაში პირველი იყო ვ. კომარი — 19,75 მ. 5-კილომეტრიან დისტანციაზე შეჯიბრებაში გაიმარჯვა იუგოსლავიის წარმომადგენელმა დ. კორიცამ — 13.53,4.

● **ლონდონი, 11 მაისი.** დიდი ბრიტანეთის „ოლიმპიურმა იმედმა", ევროპის ჩემპიონმა 400 მეტრზე რბენაში დ. ჯენკინსმა თოლად აჯობა ამერიკელ სტუმარს ფ. ნიუჰაუზს: უჩვეულო მანძილზე, 300 მეტრზე რბენაში 19 წლის შოტლანდიელმა 32,6 აჩვენა, სულ ნახევარი წამით ნაკლები ოფიციალურ მსოფლიო მიღწევაზე.

◆ **ხენგელო (ჰოლანდია), 12 მაისი.** საერთაშორისო შაშში აქ მიმდინარე „დიდ ოლიმპიურ ტურნირს" ერთპიროვნული ლიდერი გამოუჩნდა: ესაა ახალგაზრდა საერთაშორისო დიდოსტატი, ჰოლანდიელი ვირსმა — 7 ქულა 8-დან. VII ტურში მან მოუგო მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, კანადელ დელორიეს, ხოლო VIII — ფრანგ დელიომს. მსოფლიო ჩემპიონმა, რიგელმა ანდრეიკომ VII ტურში დაამარცხა იტალიელი ფანელი, VIII ტურში კი თავისუფალი იყო. მას 6 ქულა აქვს 7-დან. 8-დან 6-6 ქულა აქვთ მინსკელ განტვარგს, კიეველ კუპერმანსა და ევროპის ჩემპიონს, ჰოლანდიელ სეიბრანდსს.

◆ **ფორმია (იტალია), 12 მაისი.** მძლეოსანთა აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში იტალიელმა პაოლა პინიიმ 3000 მ 9 წუთსა და 9,2 წამში გაირბინა, რაც მსოფლიო მიღწევაა. თუმცა ქალთა შორის ამ მანძილზე მსოფლიო რეკორდები არ აღინუსხება, სპეციალისტები სულ უფრო მეტი ყურადღებით აკვირდებიან ამ ნიჭიერ მძლეოსანს: ხომ ცნობილია, რომ ეს სახეობა ევროპის 1974 წლის ჩემპიონატის პროგრამაში ოფიციალურად უკვე შეტანილია. იტალიელმა რ. დიონისიმ ჭოკით ხტომაში პირველივე ცდაზე დაძლია 540 სმ სიმაღლე, რაც მეორე შედეგია წლეულს მსოფლიოში და იტალიის რეკორდიცაა. ზუსტად ასეთივე მაჩვენებლები ჰქონდათ მსოფლიო რეკორდსმენ ჩ. იზაქსონს (შვეცია) და ოლიმპიურ ჩემპიონ ბ. სიგრენს (აშშ), მაგრამ მათ ამ სიმაღლის გადალახვას მეტი ცდა მოანდომეს.

◆ **პრაღა, 12 მაისი.** სავალდებულო პროგრამის შემდეგ სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა გუნდი ლიდერობს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში — 185,95:183,90. პირად ჩათვლაში დაწინაურდა ვორონეჟელი ლ. ბურდა — 37,85 ქულა. II ადგილზეა ვორონეჟელი ვ. ვოროშილინა — 37,25. III ადგილი უკავია მ. ნემეტოვას (ჩეხოსლოვაკია) — 37,10. საბჭოთა გუნდში გამოდიან, აგრეთვე, ტაშკენტელი ე. საადი, რიგელი ტ. შჩეგოლკოვა და გროდნოელი ო. კორბუტი. მსოფლიოსა და ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი, გროზნოელი ლ. ტურიშჩევა დაშავდა და მატჩში არ მონაწილეობს.

## „სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟი

**დონეცკი, 10 მაისი.** აქ გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟი. იღბლიანი გამოდგა შემდეგი ნომრები: 4 (მთამსვლელობა), 9 (ველოსპორტი), 14 (ფრენბურთი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 36 (სლალომი), 44 (ფიგურული ციგურაობა).

**როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო... 19⁴⁵**

# გამარჯვებულს მეორე მატჩი გამოავლენს



თბილისში სტუმრად იყვნენ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოკრივეები, რომლებმაც მასპინძლებთან იასპარეზეს. ეს იყო საბჭოთა ქვეყნის პროფკავშირების თასის გათამაშების ზონალური მატჩი, სადაც მეტოქენი ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს და გამარჯვებული საერთო უპირატესობის მიხედვით გამოვლინდება.

ჯერ კიდევ შეხვედრების დაწყებამდე მასპინძლებმა აქტივში მოგება ჩაიწერეს. საქმე ის იყო, რომ ორჯონიკიძელებს მძიმე წონის მოკრივე არ ჰყავდათ.

საქართველოს მოკრივეებს პირველი გამარჯვება პირველი უმჩატესი წონის სპორტსმენმა თ. ლორთქიფანიძემ მოუტანა, რომლის მეტოქემ ვ. არუთინოვმა პირველი რაუნდის შემდეგ უარი განაცხადა ბრძოლის გაგრძელებაზე.

მომდევნო წყვილთა შეხვედრებში მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო: ვ. ალექფეროვმა სძლია ლ. ცინოევს. საინტერესოდ დაიწყო ო. ტიტვინიძისა და ი. შჩერბაევის ორთაბრძოლა, მაგრამ რაუნდის მიწურულს სტუმარს წარბი გაუსკდა და ასპარეზობა შეწყდა. სტუმართა ღირსებას შჩერბაევის უფროსი ძმა გიორგიც იცავდა, მაგრამ მან რევანში ვერ აიღო — წააგო შ. მაჟდინიანთან. აგრესიულად იბრძოდა ზ. ჩხოლარია, რომელიც სამივე რაუნდის განმავლობაში ავიწროებდა ე. ნაზარეტიანს და სასურველ შედეგსაც მიაღწია.

სტუმრებს ერთადერთი გამარჯვება ვ. ბელიევმა შესძინა, რომელმაც მე-3 რაუნდში აშკარა უპირატესობით დაამარცხა დ. შიუკაშვილი.

გ. შახსუვარიანმა ნოკაუტით სძლია რ. ხალიევს, ნ. შავგულიძემ მოუგო ვ. ვერბოვოის, ი. მისტაკოპულომ — ა. ტიბიევს, ზ. ოშიყმაშვილმა — ა. გოძოევს.

ანგარიშით 10:1 გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ. ორიოდე კვირის შემდეგ მეტოქეები ორჯონიკიძეში კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს.

**ე. უნაფქოშვილი.**

• • •

სურათზე: მეორე უმჩატესი წონის მოკრივეების, თბილისელი ვ. ალექფეროვისა და ლ. ცინოევის შეხვედრის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

# ნისლსა და წვიმაში

11 მაისს, VI 159-კილომეტრიან ეტაპზე გერედან (გდრ) კარლოვი ვარამდე (ჩეხოსლოვაკია) მშვიდობის XXV ველორბოლის მონაწილეებს მთები, ნისლი და წვიმა შეხვდათ. გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ა. ბარტონიჩეკმა — 3:53.35. ფინიშთან ბარტონიჩეკთან ერთად მიიჭრა ველოსიპედისტთა დიდი ჯგუფი, მათ შორის, მთელი საბჭოთა ექვსეული, მაგრამ მსაჯთა მკაცრმა „ფოტოთვალმა" ამ ჯგუფს ადგილები ასე გაუნაწილა: V — ნელიუბინი, VI — დმიტრიევი, X — მოსკალიოვი, XVII — გორელოვი, XXI — გუსიატნიკოვი, XXIV — ბელოუსოვი.

საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა დ. გონშორეკი (გდრ), მესამეზე — ი. ხავა (ჩეხოსლოვაკია).

საბჭოთა სპორტსმენებს, რომლებიც თითქმის მთელი ეტაპის მანძილზე წინ იყვნენ (გორელოვმა მოიგო პირველი საშუალედო ფინიში, ნელიუბინმა — მეორე, დმიტრიევმა და მოსკალიოვმა კი მესამე საშუალედო ფინიშზე II და III ადგილები დაიკავეს), სტადიონების წიდოვან ბილიკებზე ფინიშთან მუდამ უჭირთ და ამჯერადაც ასე მოხდა. შედეგად, გდრ-ის ნაკრებმა, რომელიც საერთო გუნდურ ჩათვლაში ლიდერობს (54:31.33), ახლა უკვე 2 წუთითა და 57 წამით გაუსწრო საბჭოთა გუნდს. III ადგილზე არიან ჩეხოსლოვაკიის მრბოლელები — 54:35.32.

ამ რთული ეტაპის შემდეგ, რომლის ფინიშთანაც 91-დან 66 მრბოლელი მივიდა, ლიდერის ყვითელ მაისურს კვლავ მილდე (გდრ) ინარჩუნებს — 18:09.49. ნელიუბინი მასთან წუთსა და 9 წამს აგებს. მესამეა გონშორეკი — 18:11.54.

დანარჩენ საბჭოთა სპორტსმენთა შედეგები ასეთია: მოსკალიოვი — V ადგილი (18:12.08), დმიტრიევი — VIII (18:12.29), გორელოვი — IX (18:12.33), გუსიატნიკოვი — XV (18:12.53) და ბელოუსოვი — XXV (18:21.30).

დმიტრიევი, რომელმაც საშუალედო ფინიშებზე უკვე 14 ქულა მოაგროვა, VII ეტაპს ყველაზე აქტიური ველოსიპედისტის იისფერი მაისურით დაიწყებს. მწვანე მაისური (საუკეთესო სამთო მრბოლელისა) პოლონელ შურკოვსკის აცვია (20), II ადგილზეა ნელიუბინი (15).

# იქნებ ამჯერად მაინც...

**კაანა, 11 მაისი.** ადგილობრივ სპორტულ ცენტრში — „კლიგერმოლენში" დაიწყო ძიუდოისტთა ევროპული ჩემპიონატი. თავდაპირველად გათამაშდება გუნდური პირველობა, მერე კი უძლიერესთა ტიტულები ცალკეულ წონით კატეგორიებში.

საბჭოთა ძიუდოისტები ბოლო ევროპულ ჩემპიონატებში წარუმატებლად გამოდიან. შარშან, მაგალითად, გუნდმა მხოლოდ III საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. მოკრძალებული იყო შედეგი პირად ჩათვლაშიც: ოქროს ერთი მედალი აბსოლუტურ წონით კატეგორიაში მოსკოველი ვ. კუზნეცოვისა.

წლეულს მწვრთნელებმა ნაკრების შემადგენლობაში რამდენიმე „ახალბედა" შეიყვანეს. ისინი ვეტერანებთან ერთად იბრძოლებენ დაკარგული პოზიციების აღსადგენად. საბჭოთა გუნდში არიან: ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, ლენინგრადელი ს. სუსლინი, ევროპის ჩემპიონი, მოსკოველი ვ. კუზნეცოვი. სვერდლოვსკელი ა. კოლპაკოვი, მოსკოველი ა. ციუპაჩენკო, გორელი შ. ჩოჩიშვილი და სხვ. სულ საგანაცხადო სიაში შეტანილია 12 მოჭიდავის გვარი. ყველაზე მეტი მონაწილე საბჭოთა გუნდს მძიმე წონაში ჰყავს. აქ გამოდიან ვ. კუზნეცოვი, გ. ონაშვილი, ს. ნოვიკოვი და რ. ოდიშელიძე.

## 19⁴⁵

◆ **კაანა, 12 მაისი.** წარმატებით დაიწყო გუნდური ასპარეზობა სსრ კავშირის ნაკრებმა: თავდაპირველად დაამარცხა ბელგიისა და პოლონეთის კოლექტივები, შემდეგ კი დაძაბულ ბრძოლაში ერთი ქულის უპირატესობით სძლია საფრანგეთის ნაკრებს. ნახევარფინალში საბჭოთა ძიუდოისტებმა ჩამოიცილეს ჰოლანდიელები (3:2), რომელთა ღირსებას სხვა მატადორებთან, ცნობილ სპორტსმენებთან ერთად იცავდა ორმეტრიანი გიგანტი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ვ. რიუსკა (მან ქულებით აჯობა ვ. კუზნეცოვს).

დამაჯერებლად ჩაატარეს წინასწარი შეხვედრები ფრანგებმაც, ნახევარფინალში კი კონტინენტის შარშანდელ ჩემპიონს — დიდი ბრიტანეთის ნაკრებს მოუგეს — 3:1. ფინალში ისევ საბჭოთა და საფრანგეთის მოჭიდავეები შეხვდნენ ერთმანეთს. კიეველმა დებიუტანტმა ს. მელნიჩენკომ ფრედ დაამთავრა ჭიდილი ევროპის ჩემპიონ მუნიესთან. ხარკოველმა ა. ნოვიკოვმა ქულებით სძლია ვიალს. მსაჯთა გადაწყვეტილებით წაგება მიესაჯათ: გ. გოგოლაურსა (ევროპის ჩემპიონ ოფრესთან) და ე. სოლოდუხინს (როჟესთან). უკანასკნელი შეხვედრა მძიმეწონოსანთა შორის გაიმართა. აქ იმარჯვა კუზნეცოვმა, რომელმაც თავისი გამარჯვებით ფინალური შეხვედრის ანგარიში გაათანაბრა. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სსრ კავშირის ნაკრები მეექვსედ გამხდარიყო ევროპის ჩემპიონი. ბრინჯაოს მედლები ხვდათ ჰოლანდიისა და ინგლისის გუნდებს.

# ფეხბურთის მინდვრებზე

### 3:0

უნგრეთის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში ანგარიშით 3:0 სძლია მალტის გუნდს. ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე" გამართულ ამ მატჩს 20 ათასი მაყურებელი დაესწრო. ბურთები გაიტანეს კოშიჩმა, ბენემ და იუხასმა.

### თასი — „ლიდს იუნაიტედს"

გასულ შაბათს ლონდონის „უემბლის" სტადიონზე ინგლისის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ამ საპატიო პრიზის შარშანდელი მფლობელი — ადგილობრივი „არსენალი" და „ლიდს იუნაიტედი".

შეხვედრა ერთობ დრამატულად წარიმართა — ორივე გუნდის კარი რამდენიმეჯერ იხსნა ძელმა. 54-ე წუთზე ლიდსელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ა. კლარკმა კარგად მიიღო გადაცემა მარჯვენა ფლანგიდან და თავური დარტყმით ამ შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა — 1:0.

„ლიდს იუნაიტედმა" პირველად დაისაკუთრა ინგლისის თასი.

### „სელტიკის" „დუბლი"

გასულ შაბათს გლაზგოს „ჰემპდენ-პარკის" მინდორზე 106 ათასი მაყურებელი დაესწრო შოტლანდიის თასის გათამაშების ფინალურ მატჩს, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სელტიკი" და ედინბურგის „ჰიბერნიენი".

გლაზგოელებმა მაკლინმა, დინსმა (3) და მაკარიმ (2) გამარჯვება მოუტანეს თავიანთ გუნდს — 6:1.

„სელტიკმა" ოცდამეორედ მოიპოვა ქვეყნის თასი, წლეულს კი „დუბლის" (ჩემპიონის ტიტულისა და თასის) მფლობელიც აღმოჩნდა.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 04525